FOR THE HISTORY OF THE INSTITUTIONALIZATION OF FOLKLORE IN GEORGIA

ფოლკლორისტიკის ინსტიტუციონალიზაციის ისტორიისათვის საქართველოში

Eter Intskirveli
Associate Professor at Caucasus University,
Tbilisi, Paata Saakadze 1, 0102, Georgia,
+995 595 778 558; eintskirveli@cu.edu.ge
https://orcid.org/0009-0007-9196-9608

Abstract. Vakhtang Kotetishvili is widely acknowledged as the founding father of Georgian folkloristics, and both his intellectual achievements and biographical trajectory are well established within the national historiography of culture. The narrative of his conflict with the Soviet folklorist Mikheil Chikovani is also well documented. Nevertheless, the origins, development, and culmination of this confrontation remain largely obscured, as no systematic scholarly investigation has yet addressed them. This lacuna can be attributed to two main factors. First, Mikheil Chikovani's long-standing leadership of Georgian folkloristics from 1936 to 1983 shaped the institutional and intellectual landscape of the discipline. Second, in post-Soviet Georgia, folklorists have generally avoided research on the history of their own field, prioritizing the study of folklore itself. Temur Jagodnishvili remains the only scholar to have undertaken a comprehensive study of Georgian folkloristics from the nineteenth century through the 1930s–1940s, including aspects of Soviet-era folkloristics; however, this line of inquiry was never continued by him.

This study examines the institutionalization of Georgian folkloristics as a philological scientific discipline during the 1930s—a process that unfolded within the context of the Kotetishvili–Chikovani conflict and culminated in Kotetishvili's repression.

The research is largely based on hitherto unknown or unpublished archival materials dispersed across the National Archives of Georgia, the archives of the Georgian Academy of Sciences, and the Museum of Georgian Literature.These sources include proceedings of meetings,scholarly reports, and personal diaries, which are presented and critically analyzed in a retrospective framework.

The research demonstrates that the Soviet authorities systematically opposed Vakhtang Kotetishvili, who embodied scholarly independence, intellectual creativity, and erudition, through Mikheil Chikovani—a figure cultivated within the Soviet ideological system.

Keywords: Soviet Folklore; Vakhtang Kotetoshvili; Mikheil Chikovani; "ELKHI"; Folklore Department.

ეთერ ინწკირველი
კავკასიის უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი
თბილისი, პაატა საკაძის 1, 0102, საქართველო,
+995 595 778 558; eintskirveli@cu.edu.ge
https://orcid.org/0009-0007-9196-9608

აბსტრაქტი. ქართული საზოგადოებისთვის კარგად არის ცნობილი „ფოლკლორისტიკის მამამთავრად" აღიარებული ვახტანგ კოტეტიშვილის ცხოვრებისა და შემოქმედების შესახებ, ასევე გავრცელებულია მისი დაპირისპირების ამბავი საბჭოთა ფოლკლორისტ მიხეილ ჩიქოვანთან; მაგრამ ამ კონფლიქტის წარმოშობის, განვითარებისა

და კულმინაციის დეტალები საქართველოში დღემდე ბურუსით არის მოცული, რადგან ისინი არასდროს არავის გამოუკვლევია. ამის მიზეზი, ერთი მხრივ, მიხეილ ჩიქოვანის პიროვნებაა, რომელიც 1936 წლიდან 1983 წლამდე სათავეში ედგა ქართულ ფოლკლორისტიკას, მეორე მხრივ კი ის, რომ პოსტსაბჭოთა საქართველოში ფოლკლორისტები თავს არიდებდნენ ფოლკლორისტიკის ისტორიის კვლევას და, უპირატესობას თვითონ ქართული ფოლკლორის შესწავლას ანიჭებდნენ. თემურ ჯაგოდნიშვილი ერთადერთი მეცნიერია, ვინც ფუნდამენტურად შეისწავლა ქართული ფოლკლორისტიკის ისტორია XIX საუკუნიდან - XX საუკუნის 30-40-იან წლებამდე და საბჭოთა ფოლკლორის საკითხებსაც შეეხო, თუმცა კვლევა-ძიება ამ მიმართულებით აღარ გაუგრძელებია.

ნაშრომში შესწავლილია XX საუკუნის 30-იან წლებში ქართული ფოლკლორისტიკის, როგორც ფილოლოგიური სამეცნიერო დარგის, ინსტიტუციონალიზაციის პროცესი, რომელიც კოტეტიშვილი-ჩიქოვანის კონფლიქტის ფონზე წარიმართა და კოტეტიშვილის რეპრესირებით დასრულდა.

ნაშრომი, დიდწილად, საქართველოს ეროვნულ არქივს, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის და ქართული ლიტერატურის მუზეუმის არქივებს შორის გაფანტულ და ამ დრომდე სრულიად უცნობ/გამოუქვეყნებელ საარქივო მასალებს ეყრდნობა, მათ შორისაა როგორც სხდომათა ოქმები და სამეცნიერო ანგარიშები, ისე პირადი დღიურები. მოძიებული მასალები ნაშრომში რეტროსპექტულად არის წარმოდგენილი და გაანალიზებული. კვლევამ აჩვენა, რომ საბჭოთა ხელისუფლება ვახტანგ კოტეტიშვილს, როგორც განსწავლულობის, ნიჭიერებისა და თავისუფლების სიმბოლოს, საკუთარ წიაღში აღმოცენებული, საბჭოთა სულისკვეთებით გამოზრდილი მიხეილ ჩიქოვანის სახით ებრძოდა და უპირისპირდებოდა.

საკვანძო სიტყვები: საბჭოთა ფოლკლორისტიკა; ვახტანგ კოტეტიშვილი; მიხეილ ჩიქოვანი; „ელხი“; ფოლკლორის განყოფილება.

შესავალი. ორ ათეულ წელზე მეტია, ქართული საზოგადოებისთვის ცნობილია ვახტანგ კოტეტიშვილის 1936 წლის 19 სექტემბრით დათარიღებული წერილი ლიტერატურის ინსტიტუტის დირექციისადმი, რომელშიც ის დაკავებული თანამდებობიდან გათავისუფლებას ითხოვდა. წერილის ავტორის თქმით, მას „გაცილებით მეტის“ გაკეთება სურდა, ვიდრე ეს ინსტიტუტის ფოლკლორის სექციაში კეთდებოდა, ამიტომ ინდივიდუალური მუშაობა ერჩია: „რადგან მეცოდინება რას ვაკეთებ და რისთვის ვაკეთებ“. განცხადებაში იგრძნობა სამსახურიდან წასვლის მიზეზიც - კოტეტიშვილის უკმაყოფილება საკუთარი პოზიციის მიმართ: „რადგან მორიგი თანამშრომელი გახლავართ და ჩემ ხმას აღარა აქვს არც წონა და არც ფასი“ (კოტეტიშვილი, 2016: 550).

კოტეტიშვილის დაპატიმრების ოქმში, რომელიც ვინმე „ნერონის“, „მოსკოვისა“ და „მიხაილოვსკის“ აგენტურული შეტყობინებების საფუძველზე გაიცა, „ანტისაბჭოურად, პესიმისტურად“ განწყობილი კოტეტიშვილის მიმართ აღნიშნულია, რომ ის „ექსპედიციებში ცოტას მუშაობს, სამაგიეროდ, საჯარო გამოსვლებს აწყობს, უკმაყოფილებას გამოთქვამს იმის გამო, რომ შოთა რუსთაველის სახ. ინსტიტუტის ფოლკლორის ხელმძღვანელად 1936 წ. ახალგაზრდა სპეციალისტი ჩიქოვანი დანიშნეს,

რომლის ხელმძღვანელობით მუშაობა კოტეტიშვილს არ სურდა“ (კოტეტიშვილი, 2016: 551).

2016 წელს ფილოლოგ ნონა კუპრეიშვილის რედაქციით გამოცემულ ვახტანგ კოტეტიშვილის „წერილებში“ ეს ორი დოკუმენტი თითქოს შეგნებულად არის ერთმანეთის მიყოლებით გამოქვეყნებული (კოტეტიშვილი, 2016: 550-551), თუმცა, მიხეილ ჩიქოვანს კოტეტიშვილის მიერ ორგანიზებულ არც ერთ ექსპედიციაში მონაწილეობა არ მიუღია, შესაბამისად, სახელმწიფო უშიშროების სამსახური კოტეტიშვილის საექსპედიციო მუშაობას თავისი ე.წ. „ჩანერგილი აგენტების“ საშუალებით აკონტროლებდა, ისევე როგორც აბსოლუტურად ყველა დაწესებულებას თუ ღონისძიებას.

ეს ბურუსით მოცული ამბავი გამოუკვლეველი დარჩა ქართულ საბჭოთა ფოლკლორისტიკაში კოტეტიშვილის რეაბილიტაციის (1956 წ.) შემდეგაც კი, რაც, ცხადია, იმით აიხსნება, რომ სწორედ მიხეილ ჩიქოვანი ედგა სათავეში და განსაზღვრავდა ქართულ ფოლკლორთან დაკავშირებულ ყველა საკითხს, - პოლიტიკა იქნებოდა ეს თუ ესთეტიკა, თეორია, პრაქტიკა და ა.შ., - ხელმძღვანელობდა რა ფოლკლორის მიმართულებას რუსთაველის სახელობის ლიტერატურის ინსტიტუტში 1936-1983 წლების განმავლობაში. შესაბამისად, კოტეტიშვილის ერთგული მოსწავლეებიც კი თავს არიდებდნენ ამ თემის გაჩხრეკას, რაც, შესაძლოა, მძიმედ დასჯდომოდათ არა მხოლოდ პოლიტკორექტულობის თვალსაზრისით, არამედ პროფესიული კარიერის მხრივაც.

მეორე მხრივ, უკვე დამოუკიდებელ საქართველოში, როცა ქართულ მეცნიერებაში პრიორიტეტი ეროვნული იდენტობის კვლევები გახდა, ქართველი ფოლკლორისტების უმრავლესობა უშუალოდ ქართული ფოლკლორისა და მითოლოგიის უძველესი ძირების აღმოჩენით დაინტერესდა და მის კვლევა-ძიებას მიჰყო ხელი. გამონაკლისი თემურ ჯაგოდნიშვილია, ერთადერთი მეცნიერი, ვინც პოსტსაბჭოთა საქართველოში ფუნდამენტურად შეისწავლა ქართული ფოლკლორისტიკის ისტორია. მისი შრომები მოიცავს როგორც ქართული ფოლკლორისტიკის ძირითადი ტენდენციების, ისე ქართველი ფოლკლორისტების ბიოგრაფიულ-შემოქმედებითი მოღვაწეობის კვლევას, - XIX საუკუნიდან მოყოლებული XX ს-ის 30-40-იანი წლების ჩათვლით, - რომლებშიც ავტორი მნიშვნელოვან მიგნებებს გვთავაზობს საბჭოთა ფოლკლორისტიკის ისტორიის თვალსაზრისითაც, მაგრამ ამ მიმართულებით კვლევა მას აღარ გაუგრძელებია (ჯაგოდნიშვილი, 2004; ჯაგოდნიშვილი, 2019).

ნაშრომის მიზანია, შეძლებისდაგვარად აღადგინოს, როგორ და რა ვითარებაში ხდებოდა საბჭოთა საქართველოში ფოლკლორისტიკის, როგორც ფილოლოგიური სამეცნიერო დარგის ინსტიტუციონალიზაცია, რომელიც ჩიქოვანი-კოტეტიშვილის კონფლიქტის ფონზე წარიმართა. რა ხასიათი ჰქონდა ამ კონფლიქტს - საქმიანი, პროფესიულ-მსოფლმხედველობრივი, თუ პიროვნული? რა უძღოდა წინ და როგორ მიმდინარეობდა ახლად დაარსებული ფოლკლორის სექციის მუშაობა ლიტერატურის ინსტიტუტში 1936-37 წლებში, როგორ განისაზღვრებოდა თანამშრომელთა სამუშაო გეგმები, პრიორიტეტები, არქივისა და გამოცემის საკითხები და ა.შ..

ამ შეკითხვებზე პასუხის გასაცემად ჩვენ რამდენიმე არქივის დამუშავება და მათ შორის იმ მასალების გაცნობა მოგვიხდა, რომელიც დღემდე არ გამოქვეყნებულა და ამდენად, სამეცნიერო სიახლეს წარმოადგენს. ეს არქივები და ფონდებია: საქართველოს ეროვნული არქივის უახლესი ისტორიის ცენტრალური არქივის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის, კერძოდ, „ელხის“ ფონდი და ხელოვნების საქმეთა სამმართველოს ფონდი; საქართველოს ეროვნული მეცნიერებათა აკადემიის ლიტერატურის ინსტიტუტის ფონდი; გიორგი ლეონიძის სახელობის ქართული ლიტერატურის მუზეუმის არქივში დაცული მიხეილ ჩიქოვანის პირადი არქივი - დღიურების სახით.

მეთოდები. ნაშრომში ქართული ფოლკლორისტიკის სამეცნიერო ინსტიტუციონალიზაციის საკითხი შესწავლილია ისტორიულ-აღწერითი და რეტროსპექტიული მეთოდების გამოყენებით; ანალიზი და დასკვნები გაკეთებულია ინდუქციური მეთოდის შესაბამისად, კონკრეტული პიროვნებების ბიოგრაფიული ელემენტების და ფოლკლორისტიკის დარგის სამეცნიერო მიდგომების და მიმდინარეობების გათვალისწინებით.

შედეგები და მსჯელობა. 1918 წელს ვახტანგ კოტეტიშვილი და თედო ბეგიაშვილი საქართველოში ბრუნდებიან და მუშაობას - კოტეტიშვილი თბილისის, ხოლო ბეგიაშვილი თელავის - სკოლებში იწყებენ. ეს ის დროა, როცა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი უკვე დაარსებულია, თუმცა ქართული ფოლკლორის აკადემიური კურსი სტუდენტებს არ ეკითხება. ივანე ჯავახიშვილი თავის კვლევებში ხშირად მიმართავს ქართულ მითოლოგიურ პანთეონს; თავის მხრივ, აკაკი შანიძე იწერს და აგროვებს ფოლკლორულ-დიალექტოლოგიურ მასალებს; უკვე არსებობს ექვთიმე თაყაიშვილის მიერ არქეოლოგიური მუშაობის პარალელურად ჩაწერილი ფოლკლორული მასალა და მისი დაკვირვებები; დროდადრო ჩნდება პეტრე მირიანაშვილის ფოლკლორისტული კვლევები და ვასილ ბარნოვის პედაგოგიური მიზნებით შექმნილი „ფოლკლორული რვეულები“ და ასევე პედაგოგიური მიზნით 1925 წელს შექმნილი თ. ბეგიაშვილის „ქართული ხალხური სიტყვიერება“ (ჯაგოდნიშვილი, 2019). ერთი სიტყვით, დაგროვდა სახელმძღვანელოები, მაგრამ არ არსებობდა მასწავლებელი, ვინც ამ საგანს შესაბამისი მეთოდიკით შეასწავლიდა ისტორია-ფილოლოგიური (პედაგოგიური) ფაკულტეტის სტუდენტებს. შესაბამისად, ფოლკლორის კვლევაც უფრო თვითშემოქმედებით ხასიათს ატარებდა, ვიდრე სამეცნიერო დისციპლინისა.

საქართველოს გასაბჭოების შემდეგ, ქართულ საუნივერსიტეტო სწავლებაში, როგორც ყველაფერში, რუსული საუნივერსიტეტო სწავლების სტანდარტი შემოვიდა. ამ პერიოდში ვახტანგ კოტეტიშვილის ფოკუსი, ძირითადად, ქართული ლიტერატურის კვლევისკენ არის მიმართული და შიგადაშიგ ლიტერატურის, ქართული ხელოვნების კვალდაკვალ ფოლკლორზეც წერს სტატიებს. ის აქტიურად არის ჩართული საზოგადოებრივ ცხოვრებაში და, სკოლის მასწავლებლობის პარალელურად, დიდ დროს ატარებს თბილისის სამხატვრო აკადემიასა და საქართველოს მწერალთა კავშირში. სწორედ ამ პერიოდში უახლოვდება კოტეტიშვილი ტფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საზოგადოებას, სადაც 1927 წელს ის თავის პირველ საჩვენებელ ლექციას წაიკითხავს ქართულ ფოლკლორზე. წლების შემდეგ კოტეტიშვილის მოსწავლეები ლეგენდებს მოყვებიან ამ ლექციის შესახებ, თუმცა ფაქტია, რომ ლექციამ წარმატებით ჩაიარა და 1927 წლიდან ვახტანგ კოტეტიშვილი „ხალხური სიტყვიერების“ კურსის ლექტორად იქნა მიწვეული უნივერსიტეტში. ამავდროულად, კოტეტიშვილი საუნივერსიტეტო აქტივობებშიც ერთვება და საქართველოს სხვადასხვა კუთხეშიც მოგზაურობს ქართული ლიტერატურის პოპულარიზების მიზნით. სწორედ ერთ-ერთი ასეთი მოგზაურობის დროს, 1927 წელს, ლეჩხუმში, სოფ. მექვენაში გაიცნო კოტეტიშვილმა მიხეილ ჩიქოვანი, იმხანად სოფ. დერჩის მასწავლებელი: „მაშინ მე დერჩის სკოლის მასწავლებელი გახლდით და დღემდე სიამოვნებით ვიგონებ ამ შეხვედრას“ - იხსენებს ჩიქოვანი პირველ შეხვედრას თავის მომავალ პედაგოგთან, ვინც ის ხალხურ სიტყვიერებას აზიარა 1929 წელს, და სიტყვებს არ იშურებს მისი სამეცნიერო ღვაწლის და პიროვნული ღირსებების შესამკობად (ჩიქოვანი 1975, გვ. 365). მაგრამ გასაკვირი ის კი არ არის, რომ კოტეტიშვილის რეაბილიტაციამდე (1956 წ.), საბჭოური ტოტალური ცენზურის პირობებში, ჩიქოვანი გაკვრითაც არ ახსენებს კოტეტიშვილს თავის 1938, 1946 და 1952 წლებში გამოცემულ სახელმძღვანელოებში, არამედ ის, რომ მის შესახებ სიტყვასაც არ ძრავს საკუთარ დღიურებშიც კი - არც მასთან პირველ შეხვედრაზე წერს, არც ლექციებზე და არც

ლიტერატურის ინსტიტუტის ფოლკლორის სექციაში შექმნილ დაძაბულ მდგომარეობაზე; მის 1936-1937 წლების ჩანაწერებს ჩვენამდე საერთოდ არ მოუღწევია.

სამაგიეროდ, 1926 წელს, როცა საბჭოთა რეპრესიული პოლიტიკა ჯერ არ იყო შესული აქტიურ ფაზაში (რადგან, ცნობილია, რომ „დიდი ტერორის“ დროს ზოგი შეგნებულად აყალბებდა თავის დღიურს და შემდეგ საბჭოთა ხელისუფლების მიმართ ერთგულებას და ლოალობას ასე ამტკიცებდა) 17 წლის მიხეილ ჩიქოვანი გულწრფელი აღფრთოვანებით წერს ვლადიმერ ლენინზე, როგორც თავის მასწავლებელსა და მოძღვარზე:

> წინ მიდევს ჩვენი მასწავლებელი ლენინის XVIII ტომი თხუზულება და გადაშლილი მაქვს მისი დიადი გონების ნაყოფი „კოოპერაციის“ შესახებ. ვკითხულობ მას, გულდასმით და ვითვისებ, ვსწავლობ ძირფესვიანათ. მსურს შევისწავლო ჩემი მოძღვრის, რომლის მოწაფეთაც მე ვისთვლი ჩემს თავს, შეხედულება ამ საკითხზე, რომელიც [...] შემოწმებულია ლენინის გენიის ხელით.
>
> (ლმა, 29185, № 4, გვ. 129).

ლიტერატურის მუზეუმში შემონახული მიხეილ ჩიქოვანის პირველი ჩანაწერები სოფ. ნასპერის 17 წლის მასწავლებლის ყოველდღიური ცხოვრების აღწერით იწყება (სოფ. დერჩში მომდევნო წელს გადავიდა სამუშაოდ, მაგრამ ის პერიოდი დღიურში არ გვხვდება), სადაც ის დილაობით ბავშვებს სკოლაში ასწავლიდა, საღამოობით - გლეხებს „ლიკვსკოლაში“, ღამეებს კი სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტობაზე ოცნებაში ატარებდა. დღიურიდან ჩანს, რომ კომკავშირმა სასკოლო განათლების მქონე სოფლის ახალგაზრდობა უწიგნურობის სალიკვიდაციო სკოლებში დაასაქმა მასწავლებლებად, სადაც მათ გლეხობისთვის მარქსიზმ-ლენინიზმის ძირითადი პრინციპების სწავლება და, შესაბამისად, კომპარტიის დადგენილებათა ახსნა-განმარტება ევალებოდათ, რაც, დიდი ალბათობით, მხოლოდ ლეჩხუმით არ შემოიფარგლებოდა და მთელი საქართველოს ტერიტორიაზე ვრცელდებოდა:

> საღამოს მოწვეული მყავდა კომკავშირის უჯრედის კრება. ყველა მოვიდნენ. დავიწყეთ კრება. საკითხი იყო „სალიკვიდაციო სკოლების შესახებ“. მოხსენება მე მევალებოდა. გლეხი ახალგაზრდები მოკრძალებით ეკიდებოდნენ საკითხს. და ყოველის თავიანთი არსებით მხნეთ საღათ უდგებოდნენ საკითხს. ისინი უკვე გაერკვენ, რომ „სწავლა სინათლეა, უსწავლელობა სიბნელე“. მათი თვითეული შეკითხვა გულიდან ამონახეთქი იყო და შიგადაშიგ დიდი თანაგრძნობა გამოსჭვივოდა. კრებაც გათავდა. შეუდექი ისტორიაში მეცადინეობას. გადავიკითხე თამარ მეფე და მისი საქმენი, რომლითაც ვიგრძენი ქალი თვისი სიმძლავრით ისტორიის ჩარხის ტრიალში. [...] დღისით მოქანცული გლეხები ღამით ეძლევიან განსვენებას. გლეხებს სძინავთ უდარდელად იმ ფიქრით, რომ ხვალაც ისევ განაგრძობს თავის მზადებას ზამთრისთვის. მაგრამ მე კი არ მაძინებს ფიქრი უმაღლესში სწავლისადმი.
>
> (ლმა, 29185, № 4,, გვ. 6-8).

პარალელურად მიხეილ ჩიქოვანი სხვადასხვა გაზეთთან თანამშრომლობს და ხან საკუთარ ლექსებს გზავნის, ხან - მოკლე წერილებს. მისი დღიურებიც ხშირ შემთხვევაში დამწყები მწერლის კალმის მოსინჯვას ჩამოჰგავს, განსაკუთრებით, როცა ცდილობს, ხატოვნად გადმოსცეს სოფ. ნასპერის, მშობლიური სოფ. ცხუკუშერის ან ცაგერის ბუნება. თუმცა დღიურის თითქმის ყოველი გვერდი გამსჭვალულია მარქსისტულ-სოციალისტური მსოფლხედველობით, რამაც ახალგაზრდა კომკავშირელი ახალი დროებისთვის მეტად შესაფერის და გამოსადეგ პირად ჩამოაყალიბა.

ორიოდე წელიწადში ლეჩხუმელი ბიჭი ოცნებას აისრულებს და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის (მაშინდელი საქართველოს პედაგოგიური ინსტიტუტი) სტუდენტი ხდება, სადაც „ხალხურ სიტყვიერებას“ ასწავლის „ნაციონალურ

სულისკვეთებაში“ შემჩნეული ვახტანგ კოტეტიშვილი, როგორც მას სხვა პროფესორებს შორის ახასიათებს მაშინდელი რექტორი ივ. ვაშაყმაძე (ბოლქვაძე, 2018: 65). სტუდენტობისას ჩიქოვანი საკმაოდ დიდ დროს უთმობს სხვადასხვა პარტიულ შეხვედრას, ხშირად ესწრება ხელოვნების სასახლის სხდომებს და კომკავშირის ეგიდით მწერალთა „დამკვრელ ბრიგადებსაც“ ხელმძღვანელობს, რომლებიც სხვადასხვა ქარხნებში იგზავნებოდნენ მუშებთან შესახვედრად. მწერლებისთვის მეტად სასურველი იყო მსგავსი გასვლები, რადგან მათთვის დამატებითი შემოსავლის წყაროს წარმოადგენდა, ბრიგადას კი ყოველთვის კომკავშირის წარმომადგენელი ედგა სათავეში. ამის შესახებ გალაკტიონ ტაბიძე წერს თავის დღიურებში, რომელიც, როგორც ჩანს, მწერალთა მე-4 ბრიგადაში მოხვედრილა, მიუხედავად იმისა, რომ „დამკვრელი ბრიგადების ხელმძღვანელობას სასახლეში,[1] როგორც სჩანს, სურს ჩემი ერთგვარი დისკრედიტიზაცია პროლეტ. მწერლების სასარგებლოდ. ამას ბოლო უნდა მოეღოს. [...] ხელმძღვანელი, გამოყოფილი თვითეულ ბრიგადიდან, კომკავშირელებია და ეს კარგია. ჩვენი (#4) ხელმძღვანელია მიხ. ჩიქოვანი. მან გულწრფელად ჩამომართვა ხელი და გამაცნო ჩვენი ბრიგადის ჩემთვის უცნობი წევრი მატინიანი. არ ვიცი, პოეტია თუ პროზაიკოსი!“ (გალაკტიონის უბის წიგნაკი, 7 ოქტომბერი, 1930 წ.).

ამავდროულად მიხ. ჩიქოვანი თსუ საენათმეცნიერო წრეში აქტიურობს და თავისი კარიერის გაგრძელებას ორ ფრონტზე - მწერლობაში და ლინგვისტიკაში გეგმავს. ენათმეცნიერებისადმი სწრაფვამ ჩიქოვანი პერიოდულად თბილისში პეტერბურგიდან ლექციების ჩასატარებლად ჩამოსულ მეცნიერთან, ნიკო მართან, დააახლოვა.

ნიკო მართან დაახლოებას ცდილობდა ვახტანგ კოტეტიშვილიც. მისი ცნობილი წერილი, რომელშიც ის ენათმეცნიერ მარს იაფეტოლოგიური თეორიის მიმართ ინტერესს უდასტურებს და მხარდაჭერას სთხოვს ფოლკლორისტიკის განვითარების საქმეში, მნიშვნელოვან წყაროს წარმოადგენს 1930-1931 წლებში ქართული ხალხური სიტყვიერების სწავლებისა და კვლევის მდგომარეობის შესახებ: „პედაგოგიურმა მუშაობამ და ამ მუშაობით გამოწვეულმა ინტერესმა აღძრა მოთხოვნილება, რომ კურსთან დაკავშირებით შექმნილიყო ფოლკლორისტიკის კაბინეტი. ეს ჯერ-ჯერობით ვერ მოხერხდა. შევძელით მხოლოდ ე.წ. ფოლკლორის სექციის დაარსება, სადაც მუშაობა უკვე სწარმოებს და მოკლე ხნის განმავლობაში ჯეროვნად და მუყაითადაც მიმდინარეობს როგორც ცალკე საკითხების კვლევა, ისე ფოლკლორულ მასალის შეკრებაც. წრე საკმაო აქტივობას იჩენს, რაც ახალი კადრების საკითხს კარგ პერსპექტივებს უშლის. მართალია, აქამდე მთავარი დასაყდენი არ გვქონდა, მაგრამ უკვე მოხაზული არიან ის გზები, რომლითაც უნდა იწარმოოს სისტემატიურ და კოლექტიურ მუშაობამ, ჩვენი ცხოვრებისა და მეცნიერების თანამედროვე მოთხოვნილებებთან დაკავშირებით“ (კოტეტიშვილი, 2016: 545). კოტეტიშვილის აზრით, ფოლკლორული კვლევა დაკავშირებული უნდა იყოს, ერთი მხრივ, საენათმეცნიერო კვლევასთან და, მეორე მხრივ, სალიტერატურო მუშაობასთან, მაგრამ ის აღარ უნდა განიხილებოდეს, როგორც ლიტერატურის ერთგვარი მოსამზადებელი ნაწილი, არამედ როგორც „სრულიად ავტონომიური დისციპლინა, რომელსაც აქვს საკუთარი საგანი, მიზანი და თვალსაზრისი. [...] საჭიროა სერიოზული და ინტენსიურ მუშაობის გამართვა. ეს მუშაობა მეცნიერებათა ინსტიტუტში უნდა დაიწყოს“ (კოტეტიშვილი, 2016: 546).

წერილიდან ჩანს, რომ როცა თბილისში მეცნიერებათა ინსტიტუტის დაარსება დაიგეგმა, კოტეტიშვილს განათლების კომისარიატის წინაშე აღუძრავს საკითხი ფოლკლორის სექციის შექმნის შესახებ, რაზეც სრული თანხმობა მიუღია. მოგვიანებით კი, როცა სსრკ მეცნიერებათა აკადემიის ამიერ-კავკასიის ფილიალის საქართველოს განყოფილების გახსნა ნიკო მარის ხელმძღვანელობით გადაწყდა, კოტეტიშვილი პირადად მას მიმართავს მხარდაჭერის თხოვნით, რათა ფოლკლორის წმინდა მეცნიერული კვლევა

[1] იგულისხმება ხელოვნების სასახლე.

ინსტიტუციურად ხორციელდებოდეს საქართველოში და არა საუნივერსიტეტო სწავლებასთან შეთავსებით, რასაც სხვა გზის უქონლობით ხსნის.

ამგვარად, ვახტანგ კოტეტიშვილს უნივერსიტეტში ჩამოუყალიბებია სტუდენტთა ფოლკლორული წრე და განზრახული ჰქონდა ფოლკლორის საკვლევი სექციის გახსნა, შემუშავებული ჰქონდა უკვე კონცეფციაც, მაგრამ რაკი სამეცნიერო ინსტიტუტის დაარსება დროში გაიწელა, ამიტომ მისი განხორციელება კოტეტიშვილმა სახელმწიფო მუზეუმში მოახერხა 1932 წელს, სადაც თანამშრომლებად თავისი სიყრმის მეგობარი მიხეილ აბრამიშვილი, დიმიტრი არაყიშვილი, ყოფილი სტუდენტი ქსენია სიხარულიძე და ცნობილი მოღვაწე იაკობ ფანცხავა მიიწვია (ჯაგოდნიშვილი 2019: 262-263). თანამშრომელთა შედგენილობის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, აქ ერთ განყოფილებაში ხორციელდებოდა როგორც სიტყვიერი, ისე მუსიკალური ფოლკლორული მასალების ჩაწერა და დამუშავება.

სამეცნიერო ინსტიტუტის დაარსებას კოტეტიშვილთან ერთად ელოდებოდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორია-ლიტერატურის ფაკულტეტის მთელი პროფესურა; ხოლო როცა ქართული ენის კათედრის გამგემ, აკაკი შანიძემ, 1933 წლის 8 აპრილს დეკანატს წერილობით მიმართა და ქართული ენის კაბინეტის მოწყობა სთხოვა სალექსიკონო მუშაობის წარმართვის გამო, - კერძოდ, შანიძე ქართული ენის განმარტებით ლექსიკონზე მუშაობისთვის ითხოვდა ორ ოთახს და მუდმივ თანამშრომლებს (სეა, უიცა, ფ. 471, ან. 21, საქმე 567, გვ.85), - სულ რაღაც სამ დღეში, 1933 წლის 11 აპრილს, თსუ რექტორმა, ლევან აღნიაშვილმა, თათბირი მოიწვია და კოლეგებს დიდი ქართული ლექსიკონის საქმის მეცნიერულად წარსამართავად ქართული ენის კაბინეტის და ენის ინსტიტუტის სამეცნიერო აპარატის შექმნის საჭიროება დაუდასტურა. აღნიაშვილის განმარტებით, აპარატს უნდა ეზრუნა ქართული ფოლკლორის ძეგლების შეკრებაზეც, სამეცნიერო ტერმინოლოგიის შესწავლა-გამოქვეყნებაზე და თანამედროვეობის აქტუალურ პრაქტიკულ საკითხებთან დაკავშირებაზე. თათბირზე შანიძემ ლექსიკონის მომზადების შემდეგ ქართული ენის გრამატიკული და სტილისტური პრობლემებისა და ნორმების შესწავლა-დადგენა დასახა კაბინეტის სამომავლო მიზნად, მის გეგმებში აგრეთვე შედიოდა კავკასიური ენობრივი სინამდვილის შესწავლა, „რასაც ეხლა ჩვენშიაც და ევროპაშიც დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ“. ამავე თათბირზე აღნიაშვილმა კოლეგებს განუცხადა, რომ უკვე არსებობდა დადგენილება უნივერსიტეტის ბაზაზე სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დაარსების შესახებ, რაც შანიძემ ლიტერატურის საკვლევი ინსტიტუტის დაარსებად მიიღო და ფოლკლორული კვლევები ლიტერატურულ კვლევებს დაუკავშირა, მკვეთრად გამიჯნა რა ლინგვისტური კვლევებისგან: „ფოლკლორზე მუშაობა ალბათ ლიტერატურის ინსტიტუტს გადაეცემა. დიდი ქართული ლექსიკონი, რა თქმა უნდა, ჩვენი ძირითადი ამოცანაა“ (სეა, უიცა, ფ. 471, ან. 21, ს. 567, გვ. 81-83).

უცნაური და მოულოდნელია აკაკი შანიძისგან ლინგვისტური და ფოლკლორული კვლევების გამიჯვნა, მეტადრე, რომ ამ დროისთვის მას უკვე გამოცემული აქვს თავისი „ქართული ხალხური პოეზია. ხევსურული“ (1931 წ.) და, შესაბამისად, ნაფიქრი აქვს ქართულ ფოლკლორზე, მის შედგენილობაზე, სამეცნიერო ტერმინოლოგიასა და ხალხური ტექსტის ჩაწერის სპეციფიკაზე, ამ დრომდე არაერთი ექსპედიციის მონაწილე და ორგანიზატორიც ყოფილა. ამ გამოცდილებით, წესით, შანიძე მოხარული უნდა ყოფილიყო, თუკი ფოლკლორულ-ლინგვისტური კვლევები ერთად განხორციელდებოდა, მაგრამ, შესაძლოა, მან გაითვალისწინა რიგი საკითხები, რის გამოც ფოლკლორული კვლევა საბოლოოდ დააცილა ენათმეცნიერებას. პირველ რიგში, ეს უნდა ყოფილიყო საბჭოური ტენდენცია, რაკი რუსეთის კვლევით ინსტიტუტებში ფოლკლორისტიკა, როგორც ხალხური შემოქმედების შემსწავლელი დისციპლინა, ლიტერატურის კონტექსტში შეისწავლებოდა; მეორე მხრივ, შანიძეს ეცოდინებოდა, თუ როგორ ცდილობდა საბჭოთა ხელისუფლება საკუთარი პროპაგანდის ინსტრუმენტად ექცია ხალხური სიტყვიერება და

როგორ აიყოლია ამ ამბავში რუსი ფოლკლორისტების დიდი ნაწილი; მესამე კი, შესაძლოა, თვითონ ვახტანგ კოტეტიშვილის მიდგომებს უკავშირდებოდეს, ვინც უნივერსიტეტში ფოლკლორის ერთადერთ მკვლევრად მოიაზრებოდა მოცემულ მომენტში და გამოსაცემად ამზადებდა თავის „ხალხურ პოეზიას“ (1934 წ.), რომელიც პრინციპულად სხვა ყაიდის კრებულია, ვიდრე შანიძის გამოცემული. თანაც, ცნობილია კოტეტიშვილის მოსწავლის, ქსენია სიხარულიძის მოგონება, რომ კრებულზე მუშაობისას ბევრჯერ შესწრებია კოტეტიშვილისა და ივანე ჯავახიშვილის დისკუსიას, რომ ავტორი სწორედ მისგან, როგორც თანამოაზრისგან, იღებდა კონსულტაციებს და მას პირველს უზიარებდა თავის მოსაზრებებს და აღმოჩენებს (ჯაგოდნიშვილი, 2019: 263).

აღნიაშვილის მოწვეულ თათბირს არ ესწრებოდა კოტეტიშვილი, რომელიც, მართალია, ნიკო მარისადმი გაგზავნილ წერილში მოხდენილად აკავშირებს ფოლკლორს ენათმეცნიერებასთან, მაგრამ, სამეცნიერო ინტერესებიდან გამომდინარე, წინააღმდეგი არ იქნებოდა, რომ ფოლკლორისტული კვლევები ლიტერატურის კონტექსტში ეწარმოებინა, თუ გავითვალისწინებთ, რომ თავისივე შექმნილ სალექციო კურსს „ქართულ პოეტურ ფოლკლორს“ უწოდებს (კოტეტიშვილი, 1965: 367).

1933 წლის 10 ივნისს ტფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ოფიციალურად დაარსდა ენის, ლიტერატურის, ისტორიის და ხელოვნების სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი, შემოკლებით „ელხი“, რომლის წესდება უნივერსიტეტის ისტორია-ლიტერატურის ფაკულტეტის დეკანმა და ახალი ქართული ლიტერატურის კათედრის გამგემ, სიმონ ხუნდაძემ, შეადგინა (ბარამიძე, 1997: 261) და, სავარაუდოდ, სწორედ ის მოიაზრებოდა ინსტიტუტის დირექტორად, მაგრამ იმავე წლის აგვისტოში მოულოდნელად გარდაიცვალა და ინსტიტუტის მუშაობის დაწყებას ვერ მოესწრო. „ელხი“ მუშაობას სექტემბრიდან შეუდგა უნივერსიტეტის პირველ კორპუსში. ცენტრალურმა კომიტეტმა მის დირექტორად გაზ. „კომუნისტის“ რედაქტორის მოადგილე აკაკი ჭყონია გამოგზავნა, ანუ ჰუმანიტარული დარგების საუკეთესო სპეციალისტების გუნდს სათავეში პარტიული ფუნქციონერი ჩაუდგა. ვახტანგ კოტეტიშვილის მოლოდინი არ გამართლდა: რადგანაც „ელხში“ ფოლკლორი ცალკე სექციად არ იყო გამოყოფილი, ის, როგორც რიგითი თანამშრომელი, ახალი ქართული ლიტერატურის სექციას მიაკუთვნეს ფოლკლორის საკვლევად.

კვლევით ინსტიტუტში ამხ. ჭყონიას, ძირითადად, პარტიული პოლიტიკის გატარება ევალებოდა. მაგალითად, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის არქივში შემორჩენილი „ელხის“ საერთო კრების - რომელსაც ყველა თანამშრომელი ესწრებოდა 1934 წლის 9 თებერვალს - ოქმში აღნიშნულია, რომ ჭყონიამ ჯერ დადებითად შეაფასა 1933 წლის მუშაობა; შემდეგ 1934 წლის გეგმები დაადგინა, თუმცა კოტეტიშვილის გეგმა ეჭვქვეშ დააყენა, რადგანაც გადატვირთულად მიიჩნია, ვიდრე პირადად არ მოისმინა გეგმის ავტორისგან მისი შესრულების პირობა; კრება კი სოც-შეჯიბრება-დამკვრელობის შესახებ საუბრით დაასრულა. შედეგად - „ელხმა“ სოც-შეჯიბრში გეოლოგიური ინსტიტუტი გამოიწვია (სემაა ფ.10, აღწ.1, ს. 2, გვ.13); აკაკი ჭყონია, ვისთვისაც აკადემიური თავისუფლება და ლენინურ-სტალინური მიდგომა ტოლფასი ცნებები იყო, დაუფარავად გასცემდა რეკომენდაციებს, როგორ უნდა წარემართათ მეცნიერებს კვლევა და რა ხასიათის წერილები უნდა ეწერათ. მაგალითად, ინსტიტუტის 26 თებერვლის საერთო კრებაზე, - რომელიც რექტორმა ლევან აღნიაშვილმა მოიწვია, რათა „ელხის“ პირველი გამოცემის (იგულისხმება „ლიტერატურული მემკვიდრეობა“, 1935) სიხარული წინასწარ გაეზიარებინა კოლეგებთან ერთად, - თავის მოხსენებაში დირექტორი ჭყონია „ვრცლად შეეხო ორ უკიდურეს შეხედულებას - ნიჰილისტურსა და ტროცკისტულს. ორივე სასტიკად გააკრიტიკა და განმარტა პარტიის და ხელისუფლების მოწოდება მემკვიდრეობისადმი ლენინურ-სტალინური მიდგომის შესახებ. აღნიშნა, თუ რა ხასიათის წერილებია საჭირო და როგორ დამუშავდეს ისინი“ (სემაა ფ.10, აღწ.1, ს. 2, გვ.16-17). სხვა დროს ჭყონიას ფუნქციას

ქართველოლოგიის დარგის მეცნიერებთან ამხ. სტალინის საანგარიშო მოხსენების განხილვა და მისი მნიშვნელობის აღნიშვნა წარმოადგენდა, „ინსტიტუტის გეგმიანი და იდეოლოგიურად უზადო მუშაობისთვის“ (სემაა ფ.10, აღწ.1, ს. 2, გვ. 29).

თუმცა, „ელხის“ სამეცნიერო ან საერთო კრებების ოქმებში თვალშისაცემია, რომ ჭყონიას მოხსენების ირგვლივ გამართულ მსჯელობებში მონაწილეობას, ძირითადად, ახალგაზრდები იღებდნენ. თითქმის არ გამოხატავდნენ მოსაზრებებს იმ დროის საქართველოში თავისი დარგის საუკეთესო მკვლევრები და, მათ შორის, არც ვახტანგ კოტეტიშვილი, თუ საქმე კონკრეტულ სამეცნიერო ღონისძიებას არ ეხებოდა; ცხადზე ცხადი იყო, რომ დირექტორის (ანუ კომპარტიის!) ხედვები და მითითებები მაინცდამაინც პოპულარული არ ყოფილა ევროპული განათლების მქონე „ნაციონალისტურად განწყობილ“ ქართულ სამეცნიერო ელიტაში. ამხ. ჭყონიას თავი უმცირესობაში რომ არ ეგრძნო, ანუ მარქსისტული იდეოლოგია რომ არ დაჩაგრულიყო, საჭირო გახდა „ელხის“ კომკავშირული კადრებით გაძლიერება. ეს განსაკუთრებით ენათმეცნიერების დარგს ეხებოდა, სადაც 1930-იან წლებში მწვავე მეთოდურ-მსოფლმხედველობრივი დაპირისპირება გაჩნდა თსუ პროფესორებს შორის. თსუ პარტკომს ისიც კი სურდა, რომ ხელისუფლების მიერ მარქსისტულად აღიარებული ნიკო მარის „იაფეტური თეორიის“ მოწინააღმდეგე ინდოევროპეისტი არნოლდ ჩიქობავა უნივერსიტეტიდან გაეთავისუფლებინა, თუმცა ამას ვერ ახერხებდა, შემცვლელი სამეცნიერო კადრების უქონლობის გამო (ბოლქვაძე, 2018: 75). თავისი მიზნებისთვის კი, ალ. ღლონტსა და მიხ. ჩხენკელთან ერთად, უნივერსიტეტის პარტკომი ჩიქობავას წინააღმდეგ მიხეილ ჩიქოვანსაც იყენებდა. სწორედ ამ სამი ასპირანტის გვარს ასახელებს 1934 წლის 26 მაისს უნივერსიტეტის პარტკომი ჩიქობავას დასადანაშაულებლად: „ჩიქობავას ახასიათებს კიდევ უფრო თავაშვებულება მუშაობაში, მის მიერ ადგილი აქვს ინსტიტუტში მომუშავე პარტ-კომკავშირულ ახალგაზრდა ძალების დევნის ცდებს /ჩხენკელი, ჩიქოვანი, ღლონტი და სხვა/“ (ბოლქვაძე, 2018: 78).

აქტიური და მიზანდასახული კომკავშირელები ძალზე საჭირო და გამოსადეგი ხალხი იყო კომპარტიისთვის. ამიტომ უნივერსიტეტის ადმინისტრაციამ, პარტიის მონაწილეობით, ფართოდ გაუხსნა კარი მათ ისე, რომ თსუ ასპირანტურა კომკავშირის ფილიალს დაემსგავსა. პარტკომი მხარს უჭერდა წითელ ახალგაზრდებს სამეცნიერო მუშაობაში, ამავდროულად, პროფესორების თვალთვალს და ნაციონალისტურ-ბურჟუაზიული განწყობების მხილებას ავალებდა, პერიოდულად კი მათ წახალისებაზეც ზრუნავდა. ეს ტანდემი, ლენინ-სტალინური იდეოლოგიის გარდა, ურთიერთსაჭიროებაზე იყო დამყარებული: სოფლიდან ჩამოსულ, ღარიბი გლეხობის შვილებს ისევე სჭირდებოდათ მფარველი და დამხმარე გზის გაკვალვაში, როგორც მათ მფარველს - მორჩილი და ერთგული კადრები. მათი სახით პარტია მომავალ წითელ პროფესურას წამოიდგენდა, რომელთაც თბილისის უნივერსიტეტის დამფუძნებელი, ევროპული განათლების და ღირებულებების მქონე აკადემიური საზოგადოება უნდა ჩაენაცვლებინათ.

ამდენად, დღესავით ნათელია, რომ როცა ჭყონიამ ენის სექციაში უმცროს მეცნიერ-თანამშრომლებად ახალგაზრდა კომკავშირელები და მარის მიმდევრები - მიხეილ ჩიქოვანი და მიხეილ ჩხენკელი მოიწვია, ეს არც მხოლოდ ჭყონიას გადაწყვეტილება იქნებოდა და არც ოდენ ჩიქოვან-ჩხენკელის არჩევანი; ამ პერიოდის ჩანაწერებში ჩიქოვანი საერთოდ არ ახსენებს არც „ელხს“ და არც უნივერსიტეტს. ის უფრო მეტად მწერალთა კავშირით და პარტ-ორგანიზაციების შეკრებებით არის დაინტერესებული. 1934 წლის 27 მარტის ბრძანების თანახმად, ისინი მუშაობას მაისის თვიდან უნდა შედგომოდნენ (სეა, უიცა, ფ. 471, ან. 21, ს. 567.გვ.20).

1934 წლის ენის სექციის საწარმოო გეგმის მიხედვით, ახალგაზრდა ჩიქოვანს ორი თემა აქვს ენათმეცნიერების განხრით, ხოლო ერთი - ფოლკლორის - ფირალის ეპოსი გურიაში (სეა, უიცა, ფ. 471, ან. 21, ს. 567.გვ.31). იმავე წლის ზაფხულში ჩიქოვანი გურიაში

მიავლინეს, რაზეც მინიშნებით წერს თავის დღიურში მაისის ბოლოს, რომ ფირალის ეპოსი პარტიული დავალება იყო: „დღეს მ. მამალაძემ პარტკომში გადმომცა „ბუღარიანი“, ო. უჯმაჯურიძის ქმნილება. ბევრი აკლია. პოემას თან ახლავს 4-5 სუსტი ლექსი. თვით „ბუღარიანი“ კარგი დაწერილია.[2] დამახასიათებელ მასალებს იძლევა. მე მივსწერ ნოეს, გამომიგზავნოს კიდევ ლექსები, ხალხური ნიმუშები. „გურული ეპოსი“ ძვირფასი რამ იქნება! თუ ეს 2 წელში შევასრულე, ქართულ ლიტერატურას ახალი გვერდი მიემატება. ამ ზაფხულის ექსპედიციაზე დიდ იმედებს ვამყარებ. მან ბევრი მასალები უნდა მომცეს. იქნებ მოთხრობაც“ (ლმა, 29185, №5, გვ. 41). 1934 წლის ზაფხულში ჩიქოვანი მართლაც მიემგზავრება გურიაში „გურული დიალექტის შესასწავლად“, როგორც მისი სამივლინებო განცხადებიდან ვიგებთ (სეა, უიცა, ფ. 471, ან. 21, ს. 567.გვ.22), მაგრამ ეს არ ყოფილა მისი პირველი შეხება გურულ ფირალის ეპოსთან. მანამდე, იმავე წლის იანვარში გაზ. „კომუნისტის“ მივლინებით ეწვია ლანჩხუთს, და პოლიტიკურ მიზნებს სამეცნიერო მიზნებიც შეუთავსა საკუთარი ენთუზიაზმით და უნივერსიტეტთან შეთანხმებით: „ჩემი აქ მოსვლას სამი მიზანი აქვს: „კომუნისტმა“ მთხოვა ნარკვევი „საუკეთესო კოლმეურნეობა და მისი უჯრედის მდივანი“, 2. ფირალის ეპოსი გურიაში და 3. საიდუმლო მეტყველების შესწავლა-დადასტურება. გამოდის, რომ ჩემს მგზავრობას და მივლინებას მარტო ლიტერატურული, პოლიტ-რი ხასიათი არ აქვს, და მას თან ახლავს მეცნიერული მუშაობის ენტუზიაზმი და პირველი სამეცნიერო მივლინება სახუნტის“ (ლმა, 29185, № 5, გვ.21-22). სულ მალე, 1934 წლის ოქტომბერში ჩიქოვანი, ნიკო მარის ხელშეწყობით, საშა ღლონტთან, მიშა ჩხენკელთან და ვასო აბაევთან ერთად ლენინგრადში გაემგზავრა, სადაც ივ. მეშჩანინოვის ხელმძღვანელობით მუშაობს დისერტაციაზე „ლეჩხუმური დიალექტი და ტოპონიმიკა“ (ლმა, 29185, № 5, გვ.83), და თან მუშაობს ფირალთა ეპოსზე ნიკო მარისადმი მიძღვნილ კრებულში - „მარქსისტული ენათეცნიერებისთვის“ (1934) დასაბეჭდად. თუმცა მისი წერილი ლექსების კრებულის წინასიტყვაობას უფრო წარმოადგენს, მინიმალური კომენტარებით, ვიდრე სამეცნიერო სტატიას (ჩიქოვანი 1934: 109).

თემები, რომლებზეც „ელხის“ მეცნიერები მუშაობდნენ, ინდივიდუალურ გეგმებშია გაწერილი და გარკვეულ წარმოდგენას გვიქმნის, როგორ და რა მიმართულებით ვითარდებოდა ფოლკლორისტიკა 1930-იანი წლების პირველ ნახევარში. 1934 წლის ვახტანგ კოტეტიშვილის გეგმა მეტად შთამბეჭდავია: ეთერიანი, ამირან-პრომეთეს საკითხი მსოფლიო ფოლკლორში, ქართული ეპოსის ფორმები და ალ. სავანელი. ისვე ამზადებდა ქართული ზღაპრების პირველ ტომს და სასიმღერო ეპოსის აკადემიურ გამოცემას. პარალელურად ასრულებდა შრომის სიმღერებზე მუშაობას (უიცა, ფ. 471, ან. 21, ს. 567, გვ. 5). კოტეტიშვილის გარდა ფოლკლორზე მუშაობდნენ უმცროსი მეცნიერი თანამშრომელი ტასო აბაშიძე - ქართული გამოცანები და თავადაზნაურობა ხალხურ სიტყვიერებაში - და ისაკ ხინველი, რომელსაც, როგორც „ტარტაროზის“ მუდმივ ავტორს, სატირულ-იუმორისტული და პოლიტიკური თემები ჰქონდა არჩეული: სატირა პოლემიკაში - სტალინი და ლენინი, სატირა ფოლკლორში - ხალხური პოეზიის მასალები - ყოფა-ცხოვრება და პოლიტიკური და ანტირელიგიური მოტივებისთვის (უიცა, ფ. 471, ან. 21, ს. 567, გვ. 7-8). თუმცა, „ელხის“ ოქმებში ისაკ ხინველი ერთადერთხელ არის ნახსენები, როგორც ჩანს, სამეცნიერო მუშაობას მან ისევ „ტარტაროზისთვის“ წერა ამჯობინა.

ინსტიტუტი, ჩვეულებრივ, გეგმის შესრულებას ითხოვდა თანამშრომლებისგან. 1935 წლის 27 იანვარს რუსთაველის სახ. ლიტერატურის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის პრეზიდიუმის სხდომაზე, რომელიც თანამშრომელ პარტ-კომკავშირელებთან ერთად ჩატარდა და რომლის დღის წესრიგს მომავალი წლის გეგმის განხილვაც შეადგენდა,

[2] 1934 წლის ნიკო მარისადმი მიძღვნილ კრებულში „მარქსისტული ენათმეცნიერებისთვის“, სადაც მიხ. ჩიქოვანის მიერ შეკრებილი „ფირალის ეპოსი გურიაში“ (იქვე, გვ. 109) დაიბეჭდა, ამ ტექსტს არ ბეჭდავს და მის შესახებ არც თავის „ქართული ფოლკლორის“ სხვადასხვა გამოცემაში საუბრობს.

მოისმინეს ამხ. ლ. ციხისთავის ვრცელი მოხსენება-ანგარიში ინსტიტუტის მიერ გასულ 1934 წელს ჩატარებული მუშაობის შესახებ. მომხსენებელმა აღნიშნა მრავალი სიკეთე, რაც ინსტიტუტმა გასწია, ხოლო ბოლოს დაასახელა ის პირები, რომელთაც გეგმა არ შეესრულებინათ და მათ 1 თებერვლამდე მისცა ვადა (სემაა ფ.10, აღწ. 1, ს.5, გვ.3-4). როგორც დოკუმენტებიდან ჩანს, გეგმები ისევ არ შესრულდა და მოგვიანებით ეს ვადა მარტის დამლევამდე გადაიწია. შავ სიაში, სხვებთან ერთად, აღმოჩნდნენ როგორც ვახტანგ კოტეტიშვილი, ისე უმცროსი მეცნიერ-თანამშრომელი ტასო აბაშიძე, რომლის მუშაობას „ინსტიტუტი სათანადო ყურადღებას ვერ აქცევდა“ და, შესაბამისად, დაადგინეს, რომ ტ. აბაშიძეს წლის განმავლობაში არაფერი გაუკეთებია. განსაზღვრულ ვადამდე გეგმის შეუსრულებლობის გამო, ინსტიტუტი მიიღებდა ზომებს მათი ხელშეკრულებაზე გადაყვანის სახით, ან ინსტიტუტიდან გარიცხვით (სემაა ფ.10, აღწ. 1, ს.5, გვ.10-11). მაგრამ ამ ფაქტის გამო არავის გაურიცხავს კოტეტიშვილი ინსტიტუტიდან. რუსთაველის ინსტიტუტის პარალელურად, ის აგრძელებდა მუშაობას სახელმწიფო უნივერსიტეტსა და სახელმწიფო მუზეუმის ფოლკლორის განყოფილებაში და, როგორც ჩანს, ემზადებოდა რუსთაველის ინსტიტუტში ფოლკლორისტიკის დამოუკიდებელ სექციად გამოსაყოფად.

1936 წლის მაისის თვეში ლენინგრადის ენისა და აზროვნების ინსტიტუტიდან ბრუნდება სამი ასპირანტი - ალ. ღლონტი, მიხეილ ჩიქოვანი და მიხეილ ჩხენკელი. მათი მუშაობის ანგარიში დირექციამ 15 მაისს მოისმინა. ისინი დეტალურად ყვებიან 1934 წლის ოქტომბრიდან 1936 წლის აპრილამდე ჩატარებულ სამუშაოებზე. მივლენების მიზანი იყო „უპირველეს ყოვლისა იმ უკანასკნელი მიღწევების და გამოცდილების შესწავლა, რაც ენაზე ახალ მოძღვრებას გააჩნია და ამავე დროს მთელი რიგი ცალკეულ დისციპლინებში კურსების მოსმენა, რომლის შესაძლებლობა ტფილისში არ იყო“ (სემაა, ფ.10, აღწ.1, ს.16, გვ. 12). სწავლა გულისხმობდა აგრეთვე საველე მუშაობას, რის გამოც 1935 წლის ზაფხულში ორთვიანი მივლინებები ჰქონდათ ღლონტს - მშობლიურ გურიაში, ჩიქოვანს - რაჭა-ლეჩხუმში. ჩაწერილი მასალა მათ სადისერტაციო თემას დაედო საფუძვლად, ჩიქოვანის შემთხვევაში - „ლეჩხუმური დიალექტი და ტოპონიმიკა“. ამავე ზაფხულის პერიოდში „ელხი“ ჩიქოვანს „ხალხური ვეფხისტყაოსნის“ შეკრებას დაუკვეთს და ხელშეკრულებასაც გაუფორმებს, რასაც მისი დღიურიდან ვიგებთ და ეს ერთადერთი შემთხვევაა, როცა ჩიქოვანი „ელხს“ ახსენებს დღიურში, მიუხედავად იმისა, რომ მას უკვე გადარქმეული ჰქონდა სახელი და რუსთაველის ინსტიტუტი ეწოდებოდა 1934 წლის ოქტომბრიდან 1936 წლის დეკემბრამდე, ვიდრე ენის სექცია გამოეყოფოდა და ლიტერატურის ინსტიტუტი დაერქმეოდა.

თავის ანგარიშში მიხეილ ჩიქოვანი ყურადღებას ამახვილებს ექსპედიციაზე, როცა ფოლკლორულ ტექსტებს იწერდა, მაგრამ მისი დისკურსი ენათმეცნიერული კვლევის ინტერესებს ავლენს და არა ფოლკლორულის: „აქ ყველა ფონეტიკური-გრამატიკული მოვლენები მჟავდებოდენ. ეს საინტერესოა ჩვენთვის. [...] ჩემი დისერტაცია შედგება ორი ნაწილისაგან. შავად დაწერილი მაქვს. თვითეული თავი ფაქტიურ მასალებთან არის დაკავშირებული, ატარებს პრინციპიალურ მასალის დაყენების ხასიათს. ენობრივ მასალას თან ერთვის ტექსტები, დიალექტოლოგიური ლექსიკონი“. ჩიქოვანი ასევე საუბრობს „ხალხურ ვეფხისტყაოსანზე“, რომელზე მუშაობაც დასრულებული აქვს: „ამ პერიოდში დამზადებულია და ამჟამად იბეჭდება „ხალხური ვეფხისტყაოსანი“. ვეფხისტყაოსნის ისტორია ჩემთვის საინტერესოა, ეს მეტად მნიშვნელოვანი საქმეა და არ იქნება ჩემის აზრით არც ერთი მკვლევარი, რომელმაც უარყოს ამ საქმის მნიშვნელობა. მე შევაგროვე ჩემი საკუთარი ვარიანტები და აქამდე ცნობილი ვარიანტები. ეს არის როგორც ფოლკლორული ხასიათის, ისე ლინგვისტური ხასიათის შრომა“ (სემაა, ფ.10, აღწ.1, ს.16, გვ. 14-15). ლენინგრადში ყოფნასთან დაკავშირებით ჩიქოვანი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ის ეზიარა ახალ ენათმეცნიერებას, რის საშუალებაც აქ არ იყო, ხოლო თვით ლენინგრადს ენათმეცნიერების ცენტრად მოიხსენიებს (სემაა, ფ.10, აღწ.1, ს.16, გვ. 15).

როცა 1936 წლის ახალი ქართული ლიტერატურის სექციის სხდომათა ოქმებს ვადევნებთ თვალს, თითქმის აღარ გვხვდება არც კოტეტიშვილის გვარი და არც ფოლკლორული თემატიკა. როგორც ჩანს, ამ პერიოდისთვის კოტეტიშვილმა, როგორც იქნა, მიაღწია იმას, რომ ფოლკლორი ცალკე სექციად გამოყოფილიყო და ელოდა კიდეც ამ დღეს, მაგრამ მისთვის და ალბათ ყველასთვის მოულოდნელად, ახლად დაარსებული ფოლკლორის სექციის გამგედ მიხეილ ჩიქოვანი დაინიშნა. ფოლკლორის სექციის პირველი სხდომის ოქმი 1936 წლის 13 ივნისით თარიღდება, სხდომის თავმჯდომარედ კი მიხეილ ჩიქოვანია დასახელებული (სემაა ფ.10, აღწ.1, ს.15, გვ.1).

რუსთაველის ინსტიტუტში ფოლკლორის სექციის დაარსებას ისიც დაერთო, რომ, ცენტრალური კომიტეტის გადაწყვეტილებით, კოტეტიშვილის მიერ სახელმწიფო მუზეუმში არსებული ფოლკლორის განყოფილება გაუქმდა, ხოლო მისი ფონდი ორად გაიყო: ზეპირსიტყვიერი მასალები რუსთაველის ინსტიტუტის ფოლკლორის სექციას უნდა გადასცემოდა, ხოლო მუსიკალური - ხელოვნების საქმეთა სამმართველოსთან ახლად ჩამოყალიბებულ ხალხური შემოქმედების კაბინეტს (სეა, უიცა, ხსს ფონდი 2, ანაწერი 2, საქმე 54, გვ.1). მრავალმხრივი ნიჭის და ტარტუს უნივერსიტეტში მიღებული ფუნდამენტური ჰუმანიტარული ცოდნის (შესაბამისად, გარკვეული ამბიციებისაც) მქონე ვახტანგ კოტეტიშვილი პარტიამ გვერდზე გასწია და ფოლკლორისტიკის სადავეები ენათმეცნიერების კომკავშირელ ასპირანტს გადააბარა. საბჭოთა ფოლკლორისტიკას თავის აღმავლობის პერიოდში კომუნისტური სულისკვეთებით და მარქსიზმ-ლენინისტური იდეებით გამსჭვალული ადამიანი სჭირდებოდა. მეორე მხრივ, ძნელი დასაჯერებელია, რომ ამ გადაწყვეტილებას გაებედნიერებინა თვითონ მიხეილ ჩიქოვანიც, რომელსაც, შესაძლოა, არც არავინ ჰკითხა, სურდა თუ არა მას ფოლკლორის სექციის ხელმძღვანელობა.

კოტეტიშვილისა და ჩიქოვანის ურთიერთობა დასაწყისში მოზომილი და კორექტული იყო. უკვე მეორე სხდომაზე (1936 წ. 22 ივნისი) ჩანს, რომ კოტეტიშვილი კონსულტაციებს უწევდა ახალგაზრდა თანამშრომლებს (ამ დროიდან უერთდებიან ფოლკლორის სექციას ქსენია სიხარულიძე და ნორა აბაშიძე, რომლებიც მანამდე სახელმწიფო მუზეუმში მუშაობდნენ კოტეტიშვილთან) ფოლკლორული ექსპედიციისთვის: „აუცილებელია ჩამწერის დახელოვნება. ფოლკლორული მასალა არ უნდა გაყალბდეს. ჩაწერილ ტექსტს მხოლოდ მაშინ აქვს მეცნიერული მნიშვნელობა, თუ შეუნარჩუნებთ თავის პოეტიკას, ლექსიკონს და გრამატიკულ ფორმებს. არ უნდა გაუშვათ ნიუანსები. ტექსტის სიზუსტის მისაღებად საჭიროა მთქმელის ბუნებრივ პირობებში ჩაყენება, რომ შესაძლებელი იქნეს მისი შემოქმედებითი ბუნების ცდა“ (სემაა ფ.10, აღწ.1, ს.15, გვ.2). თუმცა, მეორე დღეს, 23 ივნისს, როცა სხდომა გაგრძელდა, ჩიქოვანმა კოტეტიშვილის მიმართულება შეცვალა და ყურადღება ენათმეცნიერების თვალსაზრისით უფრო სანდო, ამა თუ იმ რაიონის დიალექტის თავისებურებაზე გაამახვილა და, პარალელურად, საბჭოთა ფოლკლორისტიკის ტენდენციური თემები წამოსწია წინა პლანზე:

> ვწერთ, რაც შეგვხვდება. მაგრამ ამავე დროს ვეკითებით ამა თუ იმ საკითხზე, განსაკუთრებით რევოლუციონურ მოძრაობაზე, ლექსები ლენინზე, მოგონება სტალინზე, შ. რუსთაველის შესახებ, ხალხში არის ამბავი ტარიელისა; ძველი ძეგლები, საინტერესოა მათი სია, ტოპონიმიკური სახელწოდებანი, მეტი სახელები, გვარები, ხელნაწერები, ნასყიდობის ქაღალდები, შელოცვები, კარაბადინები (სემაა ფ.10, აღწ.1, ს.15, გვ.3).

კოტეტიშვილი ესწრებოდა ამ სხდომას, მაგრამ მას აზრი არ გამოუთქვამს. არ ვიცით, იქნებ სულაც ადრიანად დატოვა შეკრება, მაგრამ ფაქტია, რომ მას შემდეგ ფოლკლორის სექციის კრებებს ის აღარ დასწრებია და თავისი ცნობილი განცხადებაც სექციიდან გათავისუფლების თხოვნით, საზაფხულო შვებულებიდან დაბრუნების შემდეგ, 19 სექტემბერს, დაწერა ინსტიტუტის დირექციის სახელზე.

ერთ კვირაში მომდევნო, 26 სექტემბერს, გამართულ ფოლკლორის სექციის სხდომას რუსთაველის ინსტიტუტის დირექტორი ალექსანდრე დუდუჩავაც დაესწრო (მიხ. ჩიქოვანთან, ელ. ვირსალაძესთან, მ. ჩხენკელთან, ნ. აბაშიძე-გოძიაშვილთან და ქს. სიხარულიძესთან ერთად), მიხეილ ჩიქოვანი უკვე საკმარისად გათვითცნობიერებულია საბჭოთა ფოლკლლორში და, სავარაუდოდ, ინსტრუქციებიც აქვს მიღებული, როგორ უნდა მართოს ფოლკლორის სექცია. ამ სხდომაზე მან კოტეტიშვილის წიგნი „მესხეთ-ჯავახეთის ფოლკლორი“ ავტორის დასწრების გარეშე განიხილა და ნამუშევარი მხოლოდ იმ ნიშნით დაუწუნა, რომ მასში საბჭოთა თემატიკაზე შექმნილი ლექსები საერთოდ არ გვხვდება. სექციის გამგის თქმით, მიუხედავად იმისა, რომ 1930 წელს შეკრებილი მასალა წარმოდგენილია გეგმებთან, საძიებლებთან და წინასიტყვაობასთან ერთად, „სრულებით არ არის წარმოდგენილი თანამედროვე ფოლკლორი. ზოგი მასალა გამოსაცემად მიუღებელია, როგორც მაგალითად, მეფეების ქება-დიდება და სხვა. ვფიქრობ, წიგნი გაიყოს ორ ნაწილად და შევაჩეროთ ისტორიული ლეგენდების დაბეჭდვა“.[3] ამავე სხდომაზე საბჭოთა ფოლკლორით შეპყრობილმა ჩიქოვანმა ქსენია სიხარულიძესაც დაუწუნა თავისი „საბავშვო ფოლკლორი“. სექციის გამგე უმცროს მეცნიერ-თანამშრომელს მიუთითებდა, რომ წიგნი საბჭოთა ფოლკლორით უნდა გახსნილიყო, სიხარულიძის კრებულში კი ეს ნაწილი არ იყო საკმარისად წარმოდგენილი (სემაა ფ.10, აღწ.1, ს.15, გვ.6).

სხდომაზე კოტეტიშვილის განცხადების განხილვა და მიზეზების დასახელება არ მომხდარა, ჩიქოვანმა მხოლოდ ფაქტი გააცნო თანამშრომლებს, „ჩვენი სექციის უფროსმა მეცნიერულმა თანამშრომელმა ვ. კოტეტიშვილმა უარი განაცხადა მუშაობაზე. შემოიტანა განცხადება განთავისუფლების შესახებ. ამის შესახებ ელაპარაკა უნივერსიტეტის რექტორი. ეს საკითხი ჯერჯერობით ღიად არის დატოვებულიო“ და სიტყვა ინსტიტუტის დირექტორს გადაულოცა. დირექტორი ალექსანდრე (შურა) დუდუჩავა შეეცადა, არც მწვადი დაეწვა და არც შამფური, მაგრამ კომენტარის გაკეთება თავიდან ვერ აიცილა: „კოტეტიშვილის საქმეს გამოვარკვევ ამ დღეებში. ვეცდები მივიღო ზომები, ხელი შეუწყოთ და შეუქმნათ სამუშაო პირობები. მისი მუშაობა ჩვენთან საჭიროა, მაგრამ არის პირობები, რომელსაც თანამშრომელიც უნდა დამორჩილდეს“ (სემაა ფ.10, აღწ.1, ს.15, გვ.7).

დუდუჩავა ინსტიტუტში იმელიდან[4] მოსული კაცი იყო და მას კარგად უნდა სცოდნოდა საბჭოთა პოლიტიკის ხაფანგების შესახებ, რომლებიც ჯერ, 1936 წელს, ზედაპირზე არ იდო, მაგრამ ერთ წელიწადში წარმოუდგენელი სიჩქარე აკრიფა. ამიტომ სხდომების მიმდინარეობისას ის განსაკუთრებულ სიფრთხილეს იჩენდა და მხარს უბამდა მიხეილ ჩიქოვანს, რომ ფოლკლორის კვლევისას ყურადღება უნდა გამახვილებულიყო საბჭოთა ფოლკლორის, ლენინისა და სტალინის შესახებ არსებული მასალების მიმართ; ამ მიმართულებით არსებული მასალები დასაბეჭდად უნდა დამზადებულიყო 1936 წელს; ასევე მოიწონა ჩიქოვანის იდეა მუშათა ფოლკლორისა და საკოლმეურნეო ფოლკლორის შეკრების შესახებ, ხოლო მესხეთ-ჯავახეთის ფოლკლორის მასალები, დუდუჩავას სიტყვით, უნდა გადარჩეულიყო: „არ შეიძლება გამოიცეს ყველაფერი, რაც ჩაწერილია. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მივაქციოთ იმ საღ ელემენტებს, რომელიც გამოდგება სოციალისტური კულტურისათვის. ხალხურ შემოქმედებას უნდა მიუდგეთ გამოყენების თვალსაზრისით. ამ თვალსაზრისით უნდა გამოიცეს მესხეთ-ჯავახეთის ფოლკლორი“ (სემაა ფ.10, აღწ.1, ს.15, გვ.8).

მაგრამ ამას არ შეუშლია ხელი შურა დუდუჩავასთვის, რომ ამ ამბიდან ორ კვირაში რეკომენდაცია გაეწია ვახტანგ კოტეტიშვილისთვის ხელოვნების საქმეთა სამმართველოში ახლადშექმნილი ფოლკლორის კაბინეტის სწავლული მდივნის თანამდებობაზე, როგორც

[3] ამ სხდომას ესწრებოდა ქსენია სიხარულიძეც, რომელმაც რამდენიმე წელიწადში საისტორიო ზეპირსიტყვიერების კვლევა წამოიწყო და ბოლომდეც მიიყვანა ეს თემა 1949 წელს.

[4] „მარქსის, ენგელსის და ლენინის ინსტიტუტის“ აკრონიმი.

ამავე კაბინეტის ხელმძღვანელის მოადგილეს (სეა, უიცა, ხსს ფ. 2, ანაწერი 2, საქმე 54, გვ.1), და, საერთოდ, ბოლომდე დაეცვა და შეენარჩუნებინა კოტეტიშვილი ლიტერატურის ინსტიტუტში; მაგრამ კოტეტიშვილი ვეღარ პოულობდა თავის ადგილს ინსტიტუტში, სამსახურს ხშირად აცდენდა, არც ფოლკლორისტების ამხანაგური შეხვედრის დაგეგმვაში ერეოდა (სემაა ფ.10, აღწ.1, ს.15, გვ.14) და არც ქართული ბიბლიოგრაფიის შედგენის საქმეში იღებდა მონაწილეობას (სემაა ფ.10, აღწ.1, ს.16, გვ.23); ცხადია, უმეთაურობა დაეტყო კიდეც ფოლკლორის სექციას, რადგან ახალგაზრდა ფოლკლორისტები თვითონ წყვეტდნენ, როგორ წარემართათ სასექციო მუშაობა.

მეცნიერებათა აკადემიის არქივის ლიტერატურის ინსტიტუტის ფონდში დაცული დოკუმენტების - ძირითადად, სხდომათა ოქმების - მიხედვით, კოტეტიშვილი ლიტერატურის ინსტიტუტში არ გამოჩენილა 1937 წლის 3 აპრილამდე, როცა ინსტიტუტის დირექციის სხდომა ჩატარდა ფოლკლორის სექციის თანამშრომლებთან ერთად. დირექტორმა დუდუჩავამ სხდომა სექციის ხარვეზებზე საუბრით გახსნა და უკმაყოფილება გამოთქვა, რომ სექცია გარეშე პირებისგან კი არ უნდა იძენდეს მასალას, არამედ წევრები თვითონ უნდა კრეფდნენ და აგროვებდნენ ფოლკლორულ მასალებს. სექციის გამგე ჩიქოვანმა თავი იმით იმართლა, რომ გარეშე პირებისგან უვარგისი მასალის შეძენას ადგილი არ ჰქონია და დირექტორს სასტამბოდ გამზადებული ქსენია სიხარულიძის „საბავშვო ფოლკლორი“ და ელენე ვირსალაძის „ქართული ზღაპრის გენეზისის საკითხები“ შეაგება; ამასთანავე დასძინა, რომ კოტეტიშვილის წიგნისთვის „მესხეთ-ჯავახეთის“ ფოლკლორი“ დღემდე ვერ მიიღო წინასიტყვაობა[5] ავტორისაგან: „თანამშრომელთა შორის ურთიერთობის საკითხის მოსაგვარებლად იყო მიღებული ზომები, მაგრამ შეთანხმებას ვ. კოტეტიშვილთან დღემდე ვერ მივაღწიეთ“ (სემაა ფ.10, აღწ.1, ს.21, გვ. 10).

კოტეტიშვილს კი ფოლკლორის სექციის მიმართ, რომლის ჩამოყალიბებისთვის ის 1927 წლიდან იღვწოდა, საკუთარი პრეტენზიები ჰქონდა და არ იწონებდა მის მუშაობას. ის უკმაყოფილო იყო, რომ „სექციამ ვერ გამოიყენა მუზეუმიდან გადმოცემული დიდი მასალა; სექციის წევრებს არ ემჩნევათ საქმის სიყვარული და ასეთი საფუძველი საქმისთვის უვარგისია. სექციაში არ უნდა იყოს შემთხვევით შეკრებილი ხალხი; სექციაში წაკითხული არც ერთი მოხსენება არ არის დამუშავებული სექციაში, პირადად მას არ შეეძლო სექციაში მუშაობა და მუშაობდა საკუთარ სახლში; უკმაყოფილებას გამოთქვამს, რომ თანამშრომლები ამა თუ იმ საკითხის შესახებ არაფერს ეკითხებიან. მაგალითად, ინსტრუქცია საზაფხულო ექსპედიციისათვის მიცემული იყო მის მიერ და მან არ იცის, როგორ არის ჩაწერილი მასალა; არ ეკითხებიან ბიბლიოგრაფიის შედგენის შესახებ, არ მიდიან მასთან კონსულტაციისათვის და სხვა; დასასრულს - აღნიშნავს ვ. კოტეტიშვილი, - რომ ის არ გაურბის მუშაობას, თუ საამისო პირობები შეექმნება სექციაში“ (სემაა ფ.10, აღწ.1, ს.21, გვ.10).

უვარგისი მასალის შეძენა უარყვეს ელ. ვირსალაძემაც და ქსენია სიხარულიძემაც. ჩანს, მასწავლებლის სიტყვებმა განსაკუთრებით ამ უკანასკნელს ატკინა გული და გულწრფელად გააპროტესტა: „სექციაში არ არის შემთხვევით შეკრებილი ხალხი და არც საქმის სიყვარული აკლიათ; სექციის წევრები არ არიან დამნაშავე იმაში, თუ კონსულტაციისთვის ვ. კოტეტიშვილთან ვერ მიდიან“; უფრო მძაფრი იყო ელ. ვირსალაძის პასუხი: „სექციის წევრებს არ ჰქონიათ განზრახვა მისთვის გვერდი აეარათ, პირიქით, ვ. კოტეტიშვილმა იგნორირებულჰყო სექციის წევრების მუშაობა; პირადად მან, აღნიშნავს ელ. ვირსალაძე, ბევრჯერ სცადა ვ. კოტეტიშვილთან შეთანხმებით მუშაობა, მაგრამ არ მოხერხდა“ (სემაა ფ.10, აღწ.1, ს.24, გვ.11).

განხილვაში ჩაერთო ვლ. ასათიანი (კოტეტიშვილი სწორედ მისი ჩვენების საფუძველზე დააკავეს), რომლის აზრით, სექციაში პირველ რიგში თანამშრომელთა

[5] როგორც ჩანს, კოტეტიშვილს უკვე დაწერილი წინასიტყვაობის შეცვლა მოსთხოვეს.

ურთიერთობის საკითხი უნდა მოგვარებულიყო; კოტეტიშვილს აუცილებლად უნდა ემუშავა სექციაში, ეს სჭირდებოდა ინსტიტუტს, თუმცა აღიარებს მის ბრალსაც, რომ დღემდე არ ჩაება სექციის მუშაობაში. ასათიანს მხარი აუბა დირექტორმაც, რომ კოტეტიშვილის მუშაობა სექციაში საჭიროა, საჭიროა მისი კონსულტაცია, მაგრამ მან ხელი უნდა გაუწოდოს ახალ კადრებს. ზოგადად მუშაობაზე კი ის აღნიშნა, რომ სექციას საკმარისად არ აქვს შეკრებილი ფოლკლორული მასალა ლენინზე და სტალინზე და რომ გეგმის გარეშე თითოეულ თანამშრომელს უნდა დავალებოდა ცალკე საკითხები, როგორიცაა „საბჭოთა ფოლკლორი“, „ისტორიული ფოლკლორი“, „რეალიზმი ზღაპრებში“ და სხვა (სემაა ფ.10, აღწ.1, ს.21, გვ.12).

დირექტორის მიერ თანამშრომელთათვის საბჭოთა თემატიკაზე „ცალკე საკითხების“ დავალებას შედეგად თანამშრომელთა გეგმების თვითნებური ჩასწორება მოჰყვა, რაც 1937 წლის 5 ივნისის სხდომაზე გააპროტესტა ვ. კოტეტიშვილმა, რომ დირექციამ მას რამდენიმეჯერ შეუცვალა გეგმა; გეგმის შეცვლით უკმაყოფილო დარჩა მიხ. ჩხენკელიც, რომელსაც შეუგროვებია, უთარგმნია და გამოსაცემად მოუმზადებია მეგრული ფოლკლორი, მაგრამ, რაკი ინსტიტუტმა წიგნი ვერ გამოსცა, საერთოდ ამოაგდო გეგმიდან ჩხენკელის მოხსენება „მეგრული ფოლკლორის ბიბლიოგრაფია“ [...] და სამაგიეროდ დაევალა ტეხნიკური ხასიათის სამუშაო „ლენინი და სტალინი ქართულ ხალხურ შემოქმედებაში“. მიუხედავად იმისა, ჩხენკელი უარს ამბობდა ასეთი ხასიათის სამუშაოზე, საბოლოოდ მან მაინც ვერ აიცილა ეს საქმე და ლენინ-სტალინის ლექსების ჩასაწერად ყვარლის რაიონში მიავლინეს (სემაა ფ.10, აღწ.1, ს.24, გვ.13). ამავე დღეს, კოტეტიშვილის მიერ მოთხოვნილი გუჯარეთის ექსპედიცია მიხ. ჩიქოვანმა საკოლმეურნეო სოფლის შემსწავლელ ექსპედიციად გააფორმა და შუამდგომლობა დირექციის წინაშე სწორედ ამ სახელწოდებით აღძრა (სემაა ფ.10, აღწ.1, ს.24, გვ.14-15).

დოკუმენტების მიხედვით, ეს არის ბოლო სხდომა, რომელსაც დაესწრო კოტეტიშვილი, 1937 წლის 5 ივნისს. 7 ნოემბერს ის დააპატიმრეს. ლიტერატურის ინსტიტუტის ოქმებში ამის შესახებ მასალა დაკარგულია, მაგრამ შემონახულია სტენოგრაფიული ჩანაწერი ინსტიტუტის თანამშრომელთა საერთო კრებისა, რომელიც ელენე ვირსალაძისა და ვლადიმერ ასათიანის ხალხის მტრებად გამოაშკარავების გამო გაიმართა 19 ოქტომბერს (სემაა ფ.10, აღწ.1, ს.21, გვ.18-22). კოტეტიშვილის გვარი თსუ ფილოლოგიური ფაკულტეტის საბჭოს უახლოეს, 13 ნოემბერს გამართულ სხდომაზე კორნელი კეკელიძემ ახსენა ხალხის მტრის კონტექსტში და ისიც მხოლოდ იმ თვალსაზრისით, რომ ფოლკლორის კურსის წაკითხვა თედო ბეგიაშვილს უნდა გაეგრძელებინა: „პროგრამები ყველა საგნებში გვაქვს. კურსის კითხვა ყველა საგნებში ნორმალურად მიმდინარეობს. ახლახან გამომჟღავნებული ხალხის მტერი, უკვე იზოლირებული, კოტეტიშვილი კითხულობდა ქართ. ფოლკლორს - ეხლა მის მაგიერ მოწვეულია თედო ბეგიაშვილი. თედო ბეგიაშვილი მოითხოვს ერთ თვეს ვადას ლექციების დაწყებამდე მოსამზადებლად. ასე რომ ამ საგანში პირველ სემესტრში ცოტა ჩამორჩენა გვექნება გეგმის შესრულების მხრივ, რაც მეორე სემესტრში გამოსწორდება“ (სეა, უიცა, ფ. 471, ან. 21, ს. 17. გვ.3).

სულ მალე ორი რეპრესირებული თანამშრომლის გარეშე დარჩენილი ფოლკლორის სექციის დამთრგუნველ გარემოს თავი გაარიდა ქსენია სიხარულიძემაც, რომელიც ძველი ქართული ლიტერატურის კათედრაზე საკანდიდატო მინიმუმის ჩაბარების შემდეგ ორი წლით დისერტაციაზე სამუშაოდ გაემგზავრა ქ. ლენინგრადში, პუშკინის სახლის ფოლკლორის განყოფილებაში, სადაც მას ხელმძღვანელობას ცნობილი ფოლკლორისტი მარკ აზადოვსკი უწევდა; დაბრუნებისთანავე, 1939 წ., მან დაიცვა დისერტაცია თემაზე „ქართული ზღაპრის საკითხები“ (ზანდუკელი, 1979: 151-152). მიხეილ ჩიქოვანმა ენათმეცნიერების დარგში მომზადებული სადისერტაციო თემა „ლეჩხუმური დიალექტი და ტოპონიმიკა“ მიატოვა და ქსენია სიხარულიძის დაბრუნებამდე მოასწრო დისერტაციის

დაცვა ქართულ ზღაპრებზე, მომდევნო, 1940 წელს კი ის კომპარტიის რიგებშიც მიიღეს; მალე, 1941 წელს, თსუ ლექტორმა თედო ბეგიაშვილმაც მოიპოვა მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხი. მეორე მსოფლიო - საბჭოურად, სამამულო - ომის პერიოდში საექსპედიციო და საგამომცემლო საქმე მეტად შეეზღუდა ქართველ ფოლკლორისტებს. აქტიურ საქმიანობას ისინი ომის შემდეგ დაუბრუნდნენ.

დასკვნა. ამგვარად, ნაშრომში შესწავლილია ქართული ფოლკლორისტიკის ინსტიტუციონალიზაციის ისტორია და რეტროსპექტიულად არის მოცემული ამ პროცესის სამეცნიერო საზოგადოებისთვის ნაცნობი და დღემდე უცნობი დეტალები. შესწავლილია ფონი, რომელიც წინ უძღოდა ფოლკლორისტიკის ცალკე დარგად გამოყოფას და ნაჩვენებია კომპარტიის როლი ქართული საბჭოთა ფოლკლორისტიკის ჩამოყალიბებასა და განვითარებაში.

გამოყენებული ლიტერატურა

ბარამიძე, ალ. (1997). ლიტერატურის ინსტიტუტის დაარსების ისტორიიდან. წიგნში: *ნარკვევები ქართული ლიტერატურის ისტორიიდან.* IX. თბილისი: „მეცნიერება“. გვ. 281-285

ბოლქვაძე, თ. (2018). *საბჭოთა ენათმეცნიერების ქართული სამკუთხედი.* თბილისი: „უნივერსალი“.

ზანდუკელი, ფ. (1979). გამოჩენილი ფოლკლორისტი. *ფოლკლორის თეორია და ისტორია. ქართული ფოლკლორი.* VIII. თბილისი: „მეცნიერება“. გვ. 151-159.

კოტეტიშვილი, ვ. (1967). *რჩეული ნაწერები.* წიგნი მეორე. დ. გამეზარდაშვილის რედაქციით. თბილისი: „საბჭოთა საქართველო“.

კოტეტიშვილი, ვ. (2016). *წერილები.* ნონა კუპრეიშვილის რედაქციით. თბილისი: „არტანუჯი“.

ჩიქოვანი, მ. (1934). ფირალის ეპოსი გურიაში. *მარქსისტული ენათმეცნიერებისთვის.* თბილისი: სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა. გვ. 109-141.

ჩიქოვანი, მ. (1975). *ქართული ხალხური სიტყვიერების ისტორია* I. თბილისი. თსუ გამომცემლობა.

ჯაგოდნიშვილი, თ. (2004). *ქართული ფოლკლორისტიკის ისტორია.* წიგნი პირველი (XIX საუკუნე). თბილისი: თსუ გამომცემლობა.

ჯაგოდნიშვილი, თ. (2019). *ნარკვევები XX საუკუნის ქართული ფოლკლორისტიკის ისტორიიდან.* თბილისი: „საარი“.

წყაროები:

გალაკტიონ ტაბიძის უბის წიგნაკი - http://www.galaktion.ge/?page=Diaries&id=3317

ლმა - გიორგი ლეონიძის სახელობის ქართული ლიტერატურის მუზეუმის არქივი, მიხეილ ჩიქოვანის პირადი არქივი №29185.

სეა, უიცა, ფ. 471 - საქართველოს ეროვნული არქივი, უახლესი ისტორიის ცენტრალური არქივი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფონდი № 471.

სეა, უიცა, ხხს - საქართველოს ეროვნული არქივი, უახლესი ისტორიის ცენტრალური არქივი, ხელოვნების საქმეთა სამმართველოს ფონდი №2.

სემაა - საქართველოს ეროვნული მეცნიერებათა აკადემიის არქივი, ლიტერატურის ინსტიტუტის ფონდი №10.

REFERENCES

baramidze, al. (1997). lit'erat'uris inst'it'ut'is daarsebis ist'oriidan [From the history of the founding of the Institute of Literature]. In: *nark'vevebi kartuli lit'erat'uris ist'oriidan [Essays from the History of Georgian Literature]*. IX. Tbilisi: „Metsniereba“. pp. 281-285

bolkvadze, t. (2018). *sabch'ota enatmetsnierebis kartuli samk'utkhedi [The Georgian Triangle of Soviet Linguistics]*. Tbilisi: „Universali“.

zanduk'eli, p. (1979). gamochenili polk'lorist'i [An outstanding folklorist]. *polk'loris teoria da ist'oria. kartuli polk'lori [Folklore theory and history. Georgian Folklore]*. VIII. Tbilisi: „Metsniereba“. pp. 151-159.

k'ot'et'ishvili, v. (1967). *rcheuli nats'erebi [Selected Writings]*. Book Two. Ed. D. Gamezardashvili. Tbilisi: „Sabchota Sakartvelo“.

k'ot'et'ishvili, v. (2016). *ts'erilebi [Articels]*. Ed. Nona Kupreishvili.. Tbilisi: „Artanuji“.

chikovani, m. (1934). piralis ep'osi guriashi [The epic of the robber in Guria]. *marksist'uli enatmetsnierebistvis [For Marxist linguists]*. Tbilisi: State University Publishing House. pp. 109-141.

chikovani, m. (1975). *kartuli khalkhuri sit'qvierebis ist'oria [History of Georgian Folklore]* I. Tbilisi. TSU Publishing House.

jagodnishvili, t. (2004). *kartuli polk'lorist'ik'is ist'oria [History of Georgian Folklore]*. Book One (XIX century). Tbilisi: TSU Publishing House.

jagodnishvili, t. (2019). *nark'vevebi XX sauk'unis kartuli polk'lorist'ik'is ist'oriidan [Essays from the History of Georgian Folklore in the 20th Century]*. Tbilisi: „Saari“.

Sources:

galak't'ion t'abidzis ubis ts'ignak'i [The Notebook of Galaktion Tabidze] - http://www.galaktion.ge/?page=Diaries&id=3317

lma - giorgi leonidzis sakhelobis kartuli lit'erat'uris muzeumis arkivi, mikheil chikovanis p'iradi arkivi №29185 [Giorgi Leonidze State Museum of Georgian Literature, Mikheil Chikovani's Personale Archive, №29185].

sea, uitsa, p. 471 - sakartvelos erovnuli arkivi, uakhlesi ist'oriis tsent'raluri arkivi, tbilisis sakhelmts'ipo universit'et'is pondi №471 [National archives of Georgia, Central Archive of Contemporary History, Fond of Tbilisi State University, №471].

sea, uitsa, khkhs - sakartvelos erovnuli arkivi, uakhlesi ist'oriis tsent'raluri arkivi, khelovnebis sakmeta sammartvelos pondi №2 [National Archives of Georgia, Central Archive of Contemporary History, Fond of Department of Arts Affairs, №2].

semaa - sakartvelos erovnuli metsnierebata ak'ademiis arkivi, lit'erat'uris inst'it'ut'is pondi №10 [Archive of National Academy of Sciences of Georgia, Fond of Institute of Literature, №10].